პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО. ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

22 ივლისი, სამშაბათი, 1986 წ.
№ 141 (9302) ◉ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# ბავშვთა ქალაქ მზიურის მომავლისათვის

**კომკავშირულ** ქალაქ ბორის ძნელაძეში გაიმართა თათბირი, რომელზეც განიხილეს ნოდარ დუმბაძის სახელობის ბავშვთა აღმზრდელობით-გამაჯანსაღებელი კომპლექსის — მზიურის მშენებლობის შემდგომი დაჩქარებისა და გაფართოების, აგრეთვე მისი ფუნქციონირების გაუმჯობესების საკითხები. თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ საკავშირო და რესპუბლიკური დაქვემდებარების სამინისტროების, უწყებების, მსხვილი სამრეწველო წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელები.

მზიურის კომპლექსის შემდგომი განაშენიანების საკითხებზე ინფორმაციები გააკეთეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ ო. გ. ვარძელაშვილმა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ვ. მარგველიძემ.

თათბირზე განსაკუთრებით შეეხნენ ამოცანებს, რომელთა შესრულება განაპირობებს მზიურის იდეის პრაქტიკულ ხორცშესხმას, აღინიშნა, რომ საჭიროა დაჩქარდეს მშენებლობის შემდგომი ეტაპი და ამაში საქმიანი მონაწილეობა მიიღოს თითოეულმა ორგანიზაციამ.

თათბირის მუშაობის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ ამხანაგები ვ. ი. ალავიძე და გ. გ. გუმბარიძე.

(საქინფორმი).

МОСКВА '86 ИГРЫ ДОБРОЙ ВОЛИ

## კვირას მოსკოვში საზეიმო ვითარებაში დაიხურა კეთილი ნების თამაშები

**კეთილი** ნების თამაშები თანამედროვე სპორტის ჭეშმარიტად გრანდიოზული დღესასწაული იყო, რომელმაც 80 ქვეყნის 3 ათასზე მეტ სპორტსმენს მოუყარა თავი. მოსკოვში, ტალინსა და იურმალაში 17 დღის მანძილზე მედლების 346 კომპლექტი გათამაშდა. თამაშების პროგრამაში შემავალ სპორტის 18 სახეობაში 6 მსოფლიოს და 91 ეროვნული რეკორდი იქნა დამყარებული. საპრიზო ადგილები 22 ქვეყნის წარმომადგენლებმა დაიკავეს.

სარეკორდო იყო თამაშები მაყურებლების რაოდენობითაც. სულ შეჯიბრებებს 800 ათასი კაცი დაესწრო. ყველაზე ბევრი მაყურებელი (160 ათასი) მძლეოსნობას ჰყავდა. თამაშების ტელერეპორტაჟებს მსოფლიოს ყველა კუთხეში თვალს 1,5 მილიარდი მაყურებელი ადევნებდა. კოლოსალური ინტერესი გამოიჩინა თამაშებისადმი პრესამაც. მოსკოვის, ტალინისა და იურმალას სტარტებს 60-ზე მეტი ქვეყნის 1053 ჟურნალისტი ემსახურებოდა.

კეთილი ნების პირველმა თამაშებმა ესტაფეტა გადასცა მეორეს, რომელიც ოთხი წლის შემდეგ ამერიკის ქალაქ სიეტლში ჩატარდება.

იხ. მე-3 გვ.

## სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა

# სამი „ოქრო“ და ერთი „ვერცხლი“



### დავით გობეჯიშვილი

დაიბადა 1963 წელს ონის რაიონის სოფელ ხურუთში
წონა 107 კგ, სიმაღლე 197 სმ.
სპორტის დამსახურებული ოსტატი, სპორტსაზოგადოება „დინამოს“ წევრი.
მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი გურამ სალარაძე.
სპორტში ვარჯიში დაიწყო 1979 წელს, 1984 წლიდან სსრ კავშირის ნაკრებშია.
საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონი, ევროპისა და მსოფლიოს 1985 წლის ჩემპიონი, სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის ჩემპიონი.



### ზაზა თურმანიძე

დაიბადა 1965 წელს საჩხერეს რაიონის სოფელ არგვეთში.
წონა 115 კგ, სიმაღლე 185 სმ.
სპორტის ოსტატი, არმიის სპორტკლუბის წევრი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის II კურსის სტუდენტი.
მწვრთნელები — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები ჯონი ლორია და მარლენ ოსიყმაშვილი.
სპორტში ვარჯიში დაიწყო 1979 წელს. მოსწავლეთა XVI საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონი, საკავშირო ახალგაზრდული პირველობის პრიზიორი, მეგობრული არმიის სპარტაკიადაში გამარჯვებული, სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის ვერცხლის პრიზიორი.

„ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტი **გაბრიელ გარჯაძე** მინსკიდან ტელეფონით გვატყობინებს:

**მინსკში** დამთავრდა საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება თავისუფალ ჭიდაობაში. სპეციალისტთა უმრავლესობა გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებას რუსეთის ფედერაციის ან საქართველოს მოჭიდავეებს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ მოხდა მოულოდნელი რამ. შედეგების შეჯამების შემდეგ 310 ქულით პირველ ადგილზე ბელორუსიის ნაკრები აღმოჩნდა. რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებს მეორე ადგილი ხვდათ (291 ქულა). მესამეზე უკრაინელი მოჭიდავეები გავიდნენ (232 ქულა). მომდევნო ადგილებზე არიან მოსკოვის (225), საქართველოს (219) და სომხეთის (187) კოლექტივები, მაგრამ ეს შედეგები არ არის საბოლოო. მსაჯთა კოლეგიის სახელზე პარალელურ ჩათვლებთან დაკავშირებით ბევრი პროტესტია შესული და სპეციალური კომისია მათ გულდასმით იხილავს.

ბელორუსიის გუნდის წარმატება იმიტომაც იყო მოულოდნელი, რომ ადრე ამ რესპუბლიკის წარმომადგენლებს გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილი (და ისიც მესამე) მხოლოდ ერთხელ ჰქონდათ მოპოვებული, რუსეთის ფედერაციის ნაკრები კი ოთხჯერ იყო სპარტაკიადის ჩემპიონი. უმაღლეს ტიტულს ორჯერ საქართველოს ფალავნები ფლობდნენ.

დაძაბულად წარიმართა ბრძოლები ოქროს მედლებისათვის ცალკეულ წონით კატეგორიებში. ჩემპიონები გახდნენ: 48 კგ. პეტრე ხრისტოფოროვი (უკრაინა), 52 კგ. სასუნ ეგ-

იხ. მე-4 გვ.



კვირას თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე სსრ კავშირის ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩში თბილისის „დინამომ“ [illegible]

იხ. მე-3 გვ.

## ელვა-ინფორმაცია

### ყოჩაღ, მესტენდურებო!

**მოსკოვში,** მიტიშჩის ოლიმპიურ სასროლეთზე დამთავრდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი სასტენდო სროლაში. მრგვალ სტენდზე ასპარეზობაში ბადალი არ ჰყავდათ ქართველ სპორტსმენებს. ჩვენმა გუნდმა, რომლის შემადგენლობაში სპორტის დამსახურებული ოსტატი თამაზ იმნაიშვილი და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები გია შენგელია და დავით ქვათაძე გამოდიოდნენ, 437 ქულა მოაგროვა და ქვეყნის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. მეორე და მესამე ადგილზე რსფსრ-ისა (436 ქულა) და მოსკოვის (432) ნაკრებები გავიდნენ.

თამაზ იმნაიშვილმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ტყუილად არ ითვლება ჩვენი ქვეყნის მესტენდურეთა ნაკრების ლიდერად — 221 ქულა დააგროვა და პირად ჩათვლაში ყველა მეტოქე ჩამოიტოვა.

## კასპაროვი და კარპოვი ლონდონში გაემგზავრნენ

**მოახლოვდა** გ. კასპაროვსა და ა. კარპოვს შორის მსოფლიო პირველობის მატჩ-რევანშის დაწყების დრო. 28 ივლისს ლონდონის სასტუმრო „პარკლაინის“ საკონცერტო დარბაზში მეტოქენი პირველ პარტიას გაითამაშებენ.

ორი დღით ადრე ლონდონში ჩავიდა მსოფლიო ჩემპიონი გ. კასპაროვი. მას თან ახლავან მწვრთნელები — დიდოსტატები ი. დორფმანი, გ. ტიმოშჩენკო, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთ-

ლებთან ერთად მოსკოვიდან ლონდონში გაემგზავრა.

დედაბუნება გვიხმობს

# იქ რომ მაღალი მთებია...

**თითქოს** ერთი ჩვეულებრივი მთაა. ვერც სიმაღლით აჯობებს გიგანტ თანამოძმეებს და არც ცხრა მთას იქითაა გადაკარგული, მაგრამ ქუთაისელი მთამსვლელებისთვის და ტურისტებისთვის მაინც არაჩვეულებრივი მთაა. აქაურ კაცს ყოველ დილით ხვამლის მთისკენ მიურბის თვალი და იმის მიხედვით, თუ როგორ მოსჩანს დილის ნისლში მისი პიტალო კალთები, აფასებს ამინდს, მისი სიზვიადე და სილამაზე სულ სხვანაირად გაგაწყობს. გარდა ამისა, ხვამლი იმითაცაა გამორჩეული ქუთაისელი მთამსვლელებისთვის, რომ მათი გზა მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალებისაკენ სწორედ ხვამლის მთის (სიმაღლე 2004 მეტრი) დაძლევის შემდეგ იწყებოდა. დიახ, ხვამლი ალპინისტთა საჯილდაო ქვად იქცა, აქ არაერთ დამწყებ სპორტსმენს მიუღია ნათლობა პიტალო კლდეებთან ჭიდილში. სწორედ ხვამლი იყო ტრაგიკულად დაღუპული მურად ჭიჭინაძისთვის მისი ალპინისტური ნათლობის ადგილის დედა. სწორედ აქედან დაიწყო მისი გზა სხვადასხვა მწვერვალებისკენ. უკვე სახელმოხვეჭილი სპორტსმენი, სპორტის ოსტატი, მრავალი ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს მედლის მფლობელი, არც შემდეგ „უკადრისობდა“ ხვამლთან ჭიდილს, ამიტომ იყო ქუთაისის ტურისტთა კლუბ „ოქროს ჩარდახის“ ინიციატივით სწორედ ხვამლის მთაზე რომ ჩატარდა სპორტის ოსტატის მურად ჭიჭინაძის პრიზის მესამე გათამაშება სამთო ტურიზმის ტექნიკაში.

ტურისტული შეკრება-შეჯიბრება სამთო ტურიზმის ტექნიკაში მ. ჭიჭინაძის პრიზზე ყოველწლიურად ეწყობა კომკავშირის, ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტების და ტურისტული კლუბ „ოქროს ჩარდახის“ ინიციატივით. მაგრამ წლევანდელი შეჯიბრება განსაკუთრებული იყო მაინც, თუნდაც იმიტომ, რომ იგი პირველად ჩატარდა ხვამლის მთაზე და მასში ქუთაისელ ტურისტებთან ერთად თბილისელი, რუსთაველი, გორელი, ბათუმელი, ფოთელი, ვანელი სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ. სულ 13 გუნდი გამოვიდა სტარტზე.

შეჯიბრების მონაწილე გუნდები ჯერ ქუთაისში საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში ჭიჭინაძის საფლავთან შეიკრიბნენ, შემდეგ ხვამლის მთის გზას დაადგნენ ფეხით. საღამოს „მეგობრობის კოცონთან“ შეკრებილებმა გულთბილად მოიგონეს ტრაგიკულად დაღუპული ალპინისტები. აქვე თავიანთი ხელოვნება აჩვენეს თვითშემოქმედებითმა კოლექტივებმა. მეორე დღეს გაიმართა შეჯიბრება სამთო-ტურიზმის ტექნიკაში. მსაჯთა კოლეგიამ (მთავარი მსაჯი ლექსო უთარაშვილი) შეჯიბრება 5 ეტაპად დაჰყო: შვეული კლდის მონაკვეთის (20 მეტრი) დაძლევა, მდინარის გადალახვა თოკის დახმარებით, ზურგჩანთის გაწყობა, კარვის სწრაფად გაშლა და მორის საშუალებით ხევის გადალახვა.

შეჯიბრება მეტად საინტერესოდ და დაძაბულად წარიმართა. ერთმანეთზე უკეთეს შედეგს აჩვენებდნენ საასპარეზოდ გამოსული გუნდები.

პირველი ადგილი დაიკავა ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა (მწვრთნელი გოგი ახვლედიანი). მათ 5 წუთი და 40 წამი მოანდომეს ამ ძნელი ტრასის დაძლევას. მეორე ადგილზე თბილისის ტურისტული კლუბის გუნდი გავიდა (მწვრთნელი შ. ქოქოშვილი) 6 წუთი და 59 წამი,- ხოლო მესამეზე — ქუთაისის საკონდიტრო ფაბრიკასთან არსებული პ. ჭაბუკიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის კლუბის გუნდი (მწვრთნელი ს. კიშიბაძე).

შეჯიბრებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს და მაღალი შედეგები აჩვენეს ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის, ელექტრომექანიკური ქარხნის, ბათუმის ტურისტული კლუბის წევრებმა.

აქვე უნდა ითქვას, რომ ამ შეჯიბრებაში პირველად მონაწილეობდნენ ქუთაისის ბავშვთა ტურისტული სადგურის ნორჩი წარმომადგენლები. სწორედ აქ დაიწყო მ. ჭიჭინაძის გზაც დიდ ალპინიზმში. ნორჩმა ტურისტებმა კომკავშირის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის სპეციალური პრიზი დაიმსახურეს.

გამარჯვებულ გუნდს კომკავშირის საქალაქო კომიტეტის და სპორტკომიტეტის დიპლომებთან და ვიმპელებთან ერთად მ. ჭიჭინაძის ვაჟმა, 7 წლის ლევან ჭიჭინაძემ მამისეული წერაყინიც გადასცა. საუკეთესო ტურისტული ბანაკისათვის დაწესებული პრიზი ბათუმელ ტურისტებს ხვდათ წილად.

**თამაზ ხარაიძე.**

ქუთაისი.





# ბავშვებს მოედნები არ ჰყოფნით

**დიდად** გაიხარეს ქალაქ ცხინვალის მამსუროვისა და ვაგზლისპირა ქუჩების მცხოვრებლებმა. შარშან აქ ორი სპორტული მოედანი აშენდა, წელს კი ქალაქის მჭიდროდ დასახლებული მიკრორაიონი კეთილმოწყობილ ღია სპორტულ კომპლექსს (ზომით 86X40 მ) მიიღებს საჩუქრად — ფრენბურთის, კალათბურთის, ხელბურთის მოედნებითა და ჩოგბურთის კორტით. გასულ წელს მშენებლებმა 18 ათასი მანეთი აითვისეს, მიმდინარე წლისათვის კი გეგმით 30 ათასი მანეთია ასათვისებელი. ჯერჯერობით მხოლოდ 12 ათასი მანეთის სამუშაოებია შესრულებული. მშენებლები გვპირდებიან, რომ წლის ბოლომდე მორჩებიან საქმეს, მაგრამ იმისათვის, რომ პირობა შეასრულონ, ალბათ მუშაობის ტემპის დაჩქარება მოუწევთ.

ამრიგად, ქალაქს სამი სპორტული მოედანი ექნება, მაგრამ არის ეს საკმარისი? რა თქმა უნდა, არა. ქალაქ ცხინვალის საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამმართველო 16 ათასზე მეტ მობინადრეს ითვლის. მამსუროვის ქუჩაზე მდებარე სპორტული მოედანი დაახლოებით 5 ათას ადამიანს ემსახურება, ვაგზლისპირა ქუჩისა კი 2 ათასს. დაახლოებით 2 ათას სპორტის მ[...] ყვარულებს უმასპინძლებს მ[...] ნებარე მოედანიც. დანარჩენებ[...] რა ქნან? ქალაქის ცენტრალურ ნ[...] წილში — მდინარე ლიახვისგა[...] და გამოლმა — ერთი მარტივი ტ[...] პის სპორტული მოედანიც კი [...] არის. ბავშვები პირდაპირ ქუჩ[...] ბში, ტრანსპორტის სავალ ნაწილ[...] თამაშობენ.

რაც შეეხება ფიზკულტურის [...] სტრუქტორ-მეთოდისტთა შტატებ[...] მდგომარეობა ამ მხრივ მეტად [...] ვალალოა. ქალაქს მეთოდისტ[...] მხოლოდ ერთი შტატი აქვს და ე[...] შტატზე ორი მეთოდისტი მუ[...] ობს ნახევარ-ნახევარ განაკვე[...] არც სხვა მხრივაა სპორტული მ[...] შაობა სათანადო დონეზე. ცხინვალ[...] არც ერთ კომუნალურ სახლს [...] აქვს ბავშვთა სპორტული კლუ[...] არც სარდაფებს იყენებენ საა[...] სოდ. ქალაქის ახალი უბნების [...] პროექტებისას არ ითვალისწი[...] ბენ თუნდაც პატარა ადგილის [...] მოყოფას სპორტული მოედნებ[...] მოსაწყობად. საჭიროა ამ სა[...] თხებს დროზე მიექცეს ყურადღე[...]

**ლეილა სუბელია[...]**
**(„ლელოს“ საკ. კორ[...]**

ცხინვალი.

**ვუბრუნდებით დაბეჭდილს**

**რედაქციას უპასუხებს საქარ[თ]ველოს ალკკ ჩოხატაურის რაიკომი**

## „წესს არღვევენ სპორტსმენები და... მსაჯები“

ამ სათაურით 25 ივნისს „ლელოს“ ფურცლებზე გამოქვეყნდა ინფორმაცია რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გეგეჭკორში ჩატარებული ლელობურთელთა ზონალური ტურნირის შესახებ. რაიონმა რესპუბლიკური ასპარეზობის მასპინძლობის მისაბაძი მაგალითი გვიჩვენა, მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთმა სპორტსმენმა, მაგ. კომკავშირელმა გოდერძი ანთიძემ, გეგეჭკორის გუნდთან შეხვედრის დროს ჯერ გვერდითი მსაჯი გალანძღა, მერე ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა არბიტრს, მატჩის დამთავრების შემდეგ კი დაძრული ავტობუსიდან უშვერი სიტყვებით მიმართა მსაჯთა კოლეგიის წევრებს.

საქართველოს ალკკ ჩოხატაურის რაიკომის მეორე მდივანმა ვ. სიხარულიძემ გვაცნობა:

**„ანთიძის უღირსი საქციელის შ[...] სახებ იმსჯელა საქართველოს ალ[...] ჩოხატაურის რაიკომის ბიურომ [...] დაადგინა:**

**გეგეჭკორში ლელობურთელთ[...] ზონალურ შეჯიბრებაზე ჩადენი[...] არასპორტული საქციელისთვის გ[...] დერძი ვახტანგის ძე ანთიძეს გამ[...] ეცხადოს საყვედური საალრიცხვ[...] ბარათში შეტანით.**

**გ. ანთიძე კომკავშირულ აღრი[...] ხვაზე იმყოფება რაიონული საავ[...] დმყოფოს პირველად კომკავშირუ[...] ორგანიზაციაში. აღმზრდელობი[...] მუშაობაში დაშვებული ნაკლოვან[...] ებებისათვის ამ საავადმყოფოს პი[...] რველადი კომკავშირული ორგანიზ[...] აციის მდივანს ლ. ჯინჭარაძე[...] გამოეცხადა საყვედური“.**

გამოხმაურება წერილზე „მძიმე შტანგა“

# მეტი დახმარება სჭირდებათ

**ჩვენი გაზეთის 18 ივნისის ნომერში, რუბრიკით „მრგვალი მაგიდა“, გამოქვეყნებულ პრობლემურ წერილში „მძიმე შტანგა“ წამყვანმა სპეციალისტებმა საქართველოში ძალოსნობის ჩამორჩენის მიზეზებზე იმსჯელეს.**

**დღეს გთავაზობთ საჩხერის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის, ძალოსნობაში საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის თამაზ ლაშხის გამოხმაურებას.**

საჩხერელი მწვრთნელები მრგვალი მაგიდის ირგვლივ შეკრებილთა აზრს გულისყურით გავეცანით, გვინდა ჩვენი აზრიც გაგიზიაროთ. ერთ-ერთ საკამათო საკითხად მიგვაჩნია ის, რომ საქართველოს პირველობაზე აკრძალულია იმ სპორტსმენის დაშვება, ვისაც პირველი თანრიგი არა აქვს. სად უნდა მოიპოვოს სპორტსმენმა თანრიგი თუ არა შეჯიბრებებზე? რა გზით უნდა მივიყვანოთ ამ საფეხურამდე ახალგაზრდები? მითუმეტეს, რომ ძალოსანთა შეჯიბრებები, რესპუბლიკის მასშტაბით იშვიათად იმართება.

ჩვენს რაიონში ძალოსნობის განვითარება ამ ოციოდე წლის წინათ დაიწყო. შედეგი, რესპუბლიკის მასშტაბით, უკვე თვალსაჩინოა, მაგრამ შეიძლება მეტის გაკეთება. მართალია, რესპუბლიკაში მწვრთნელთა კადრების ნაკლებობაა, მაგრამ ჩვენ ამ მხრივ საწუწუნო არაფერი გვაქვს — გვყავს ათი კვალიფიციური მწვრთნელი. საქმე [...] გამო. ძალოსნობის დარბაზ[...] გვაქვს, მაგრამ კეთილმოუწყობ[...] ლია — არ თბება, არა აქვს საშხა[...] პე, ერთი სიტყვით, საფუძვლია[...] რემონტს საჭიროებს. ხელმძღვან[...] ლი მუშაკები დახმარებას გვპირ[...] დებიან, მაგრამ როდემდე შეიძლე[...] ბა ვიყოთ მათი იმედით? საჭირო[...] სპორტსაზოგადოება „კოლმეურ[...] ნის“ რესპუბლიკური საბჭოს (რო[...] მელთა ბაზაზეცაა შექმნილი ძალ[...] სნობის ჯგუფები) აქტიური დახმა[...] რება, — განსამტკიცებელია მატ[...] რიალურ-ტექნიკური ბაზა, მოსაწ[...] სრიგებელია ფინანსური მდგომა[...] რეობა (მწვრთნელები ხელფასებ[...] თვეობით ვერ ღებულობენ).

როგორც აღვნიშნეთ, სასიხარუ[...] ლო და საამაყოა ის, რომ ბაზ[...] გვაქვს, გვყავან ნიჭიერი ახალგა[...] ზრდებიც. აღსანიშნავია, რომ 198[...] წლის მოსწავლეთა სპარტაკიად[...] ში რაიონის ძალოსნებმა მეორ[...] გუნდური ადგილი მოიპოვეს. ამ[...] ტომ, ვფიქრობთ, დადგა დრო [...]

კონსულტაცია

# მასაჟი უძილობის დროს

**უძილობა** — ეს არის ძილის მოშლა, რაც შეიძლება წარმოიშვას ნერვული სისტემის გამომფიტავი ისეთი ფაქტორების ზემოქმედებით, როგორიცაა გადაღლა, ინფექციები, ტრავმები და ა. შ.

მოშლის ხასიათი სხვადასხვაგვარია: ადამიანი დიდხანს ვერ იძინებს, ან იძინებს უცბად, ხოლო 1-1,5 საათის შემდეგ ეღვიძება და ველარ იძინებს დილის ოთხხუთ საათამდე, ან ეღვიძება სამ საათზე, ხუთ საათამდე ფხიზლობს, შემდეგ იძინებს — დილით კი დაღლილსა და „დამტვრეულს“ ეღვიძება.

ამ შემთხვევებში შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს წერტილოვანი მასაჟი. ამასთან ერთად კატეგორიულად აკრძალულია ძილისმომგვრელი მედიკამენტების გამოყენება. დასაძინებლად დაწოლა საჭიროა ერთსა და იმავე დროს. მასაჟი უნდა გავაკეთოთ საღამოს. ზემოქმედება უნდა ჩატარდეს დამაწყნარებელი მეთოდით. ერთ-ერთი ხერხია: ხელის მსუბუქი სმა შენელებული ტემპით ან მცირე დაწოლით; ყოველი წერტილის მასირება ხდება სამი-ხუთი წუთის მანძილზე.

მასაჟის დროს არ არის აუცილებელი ყველა აქ ნაჩვენები წერტილის გამოყენება. შეარჩიეთ თქვენთვის წერტილების ინდივიდუალური ჯგუფი ან თუნდაც ერთი წერტილი, რომლის მასირებაც მოგგვრით წყნარ, ჯანმრთელ ძილს მედიკამენტების გამოყენების გარეშე.

წერტილი 1 (ინ-ტანი) სახეზეა, წარბებს შუა. წერტილი არასიმეტრიულია. მასირება ხდება ან გულაღმა წოლით მდგომარეობაში, ან მჯდომარე წინ გადახრილი თავით.

წერტილი 2 (ლი-დუი) ტერფზეა, მეორე თითის ფრჩხილის კუთხიდან სამი მილიმეტრის დაშორებით. სასურველია, რომ მასაჟს გიკეთებდეთ სხვა ადამიანი, თქვენ კი ამ დროს იწვეთ. წერტილი სიმეტრიულია. მასაჟი კეთდება ერთდროულად მარჯვნიდანაც და მარცხნიდანაც.

წერტილი 3 (ჩჟაო-ხაი) ტერფზეა, შიდა კოჭს ქვემოთ, ქუსლის კანის საზღვართან. წერტილი სიმეტრიულია. მისი მასირება ხდება ისევე, როგორც მეორე წერტილისა.

წერტილი 4 (შენ-მაი) ტერფზეა, გარე კოჭს ქვემოთ, ქუსლის კანის საზღვართან. წერტილი სიმეტრიულია. მისი მასირება ხდება ისევე, როგორც მეორე წერტილისა.

წერტილი 5 (გუნ-სუნი) — ტერფის შიდა მხარეზეა, ცერს უკან, ამოწეული ძვლის ქვედა ზღვართან. წერტილი სიმეტრიულია. მასირება ხდება ისევე, როგორც მეორე წერტილისა.

წერტილი 6 (მაი-ხუეი) თავზეა, თმიანი ნაწილის შუა ხაზზე, წინა მხრიდან დაახლოებით ხუთი თითით მაღლა, იგი შეესაბამება კეფის ჩაღრმავებას. წერტილი არასიმეტრიულია. მასირება ხდება მჯდომარე ან წოლელა მდგომარეობაში.

წერტილი 7 (ჩჟუნ-ვანი) მუცელზეა, ჭიპიდან დაახლოებით ოთხი თითით მაღლა, მუცლის შუა ხაზზე. წერტილი არასიმეტრიულია. მასირება ხდება წოლელა მოდუნებულ მდგომარეობაში.

ასევე უსიამოვნო შეგრძნებაა, როდესაც გეძინებათ დღის განმავლობაში. ეს შეგრძნება ჩნდება ყუათიანი სადილის შემდეგ, იგი შეიძლება ჩვევადაც იქცეს. წერტილოვანი მასაჟი ამ შემთხვევაშიც სასარგებლოა. კურსის გავლისას არ არის რეკომენდებული მატონიზებელი მედიკამენტების მიღება, ყავისა და მუქი ჩაის სმა.

წერტილი 9 (შან-ციუ) ტერფზეა, შიდა კოჭის წინა და ქვედა ნაწილში, ჩაღრმავებაში. წერტილი სიმეტრიულია. მასირება ხდება ერთდროულად მჯდომარე მდგომარეობაში.

ზემოქმედება უნდა მოხდეს მატონიზებელი მეთოდით, 0,5-1 წუთის განმავლობაში ღრმად დაწოლით ბრუნვითი და ვიბრაციის ხერხით. მასაჟი შეიძლება კვლავ განმეორდეს 10 წუთის შემდეგ. სრული კურსია 5-6 ყოველდღიური სეანსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კეთილი ნების თამაშები

## ბოლო აკორდი

**მოკრივეთა** ტურნირის დამთავრების შემდეგ საბჭოთა კავშირის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა არტემ ლავროვმა განაცხადა:

— ჩვენი გუნდი ამჯერად ახალგაზრდა სპორტსმენებით იყო დაკომპლექტებული. მათთვის კეთილი ნების თამაშები ოსტატობის ბრწყინვალე სკოლა გამოდგა. მოხარული ვარ, რომ ახალგაზრდებმა ჩვენი იმედები გაამართლეს. ყველა ფინალური შეხვედრა შეუპოვარი ბრძოლით ხასიათდებოდა.

ჟურნალისტებმა ინტერვიუ ჩამოართვეს სამოყვარულო კრივის საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტს, ამერიკელ დონალდ ჰალსაც:

— საბჭოთა მოკრივეების წარმატება ლოგიკურად და კანონზომიერად მიმაჩნია. ბოლო მსოფლიო ჩემპიონატის შედეგები თქვენთვის არც ისე სახარბიელო იყო და თამაშებში რეაბილიტაციის საშუალება მოგეცათ. როგორც ჩანს, მწვრთნელებმა სწორი დასკვნები გააკეთეს და დამსახურებულ გამარჯვებასაც მიაღწიეს.

დიახ, ეს მართლაც დიდი გამარჯვება იყო. ცხრა საბჭოთა მოკრივემ თამაშების ჩემპიონის ოქროს მედალი დაისაკუთრა. წონითი კატეგორიების მიხედვით პირველი ადგილები დაიკავეს ნშან მუნჩიანმა (ერევანი), ანტონ არტურ ჯონსონმა (აშშ), ალექსანდრე არტემიევმა (ლენინგრადი), მიხაკ კაზარიანმა (ერევანი), ორუზბეკ ნაზაროვმა (ფრუნზე), იგორ რუჟნიკოვმა (ტემირტაუ), ალექსანდრე ოსტროვსკიმ (ომსკი), ისრაელ აკოფკოხიანმა (ერევანი), რუსლან ტარამოვმა (გროზნო), ნურმაჰომედ შანავაზოვმა (მახაჩყალა), რამზან სიბიევმა (გროზნო) და ვიაჩესლავ იაკოვლევმა (ლენინგრადი).

ასპარეზობაში ორი მოკრივე გამოდიოდა საქართველოდან. ხვიჩა ხდრიანმა 54 კგ-ში II ადგილი დაიკავა, იური სავოჩკინმა კი (60 კგ) — III.

**დაძაბული** ბრძოლით აღინიშნა ფრენბურთელ ვაჟთა ტურნირის გადამწყვეტი მატჩები. როგორც ვიუწყებოდით, პირველი ადგილისთვის ბრძოლის უფლება საბჭოთა კავშირისა და აშშ-ს სპორტსმენებმა მოიპოვეს. ფინალური შეხვედრა ამერიკელებმა კარგად დაიწყეს და პირველი ორი პარტიის შემდეგ დაწინაურდნენ — 15:8, 15:8. ორ მომდევნო პარტიაში საბჭოთა ფრენბურთელებმა იმარჯვეს — 15:11, 16:14. მატჩის ბედი მეხუთე პარტიამ გადაწყვიტა. საბჭოთა სპორტსმენებმა იგი მოიგეს — 15:10 და თამაშებში პირველი ადგილი დაისაკუთრეს.

მესამე ადგილისთვის ბრძოლაში იაპონიის გუნდმა საფრანგეთის ნაკრები დაამარცხა — 3:1.

ფრენბურთელთა ტურნირში ადგილები საბოლოოდ ასე განაწილდა: 1. სსრ კავშირი, 2. აშშ, 3. იაპონია, 4. საფრანგეთი, 5. ბულგარეთი, 6. ჩეხოსლოვაკია, 7. პოლონეთი, 8. ბრაზილია.

**კვირას** ძიუდოისტებმა მედლები 60 კგ წონასა და აბსოლუტურ კატეგორიაში გაითამაშეს.

აბსოლუტური კატეგორიის ფინალში ერთმანეთს ჰაბილ ბიკტაშევი და პოლონელი ანჯეი ბასიკი შეხვდნენ. საბჭოთა ათლეტი მოწინაალმდეგეზე 5 კილოგრამით მსუბუქი იყო, მაგრამ ამის მიუხედავად მან აქტიურად დაიწყო ბრძოლა და წარმატებას 42-ე წამზევე მიაღწია. ფინალურ შეხვედრებში ასეთი სწრაფი გამარჯვება იშვიათია.

60 კგ წონაში კეთილი ნების თამაშების ჩემპიონის სახელი იაპონელმა მიკიხირო მუკაიმ მოიპოვა, რომელმაც გადამწყვეტ შეხვედრაში იგორ ჟუჩკოვს (სსრ კავშირი) აჯობა.



**ხვიჩა ხდრიანი**

დაიბადა 1967 წელს თბილისში
წონა 54 კგ, სიმაღლე 166 სმ
სწავლობს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში
მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი გარი ხაჩატუროვი
„შრომითი რეზერვების" წარმომადგენელია
საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი
სსრ კავშირის ჭაბუკთა პირველობის გამარჯვებული (1983 წ.)
ევროპის ჩემპიონი ჭაბუკთა შორის (1983 წ.)
მსოფლიოს იუნიორთა ჩემპიონატის ვერცხლის მედლის მფლობელი (1985 წ.)
მრავალ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული
კეთილი ნების თამაშების ვერცხლის მედლის მფლობელი (1986 წ.)



**იური სავოჩკინი**

დაიბადა 1964 წელს ფოთში
წონა 60 კგ, სიმაღლე 168 სმ
სწავლობს ასტრახანის თევზის მრეწველობის ინსტიტუტის ფოთის ფილიალში
კრივში ვარჯიში დაიწყო 1976 წელს
მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ტარიელ ვერულაშვილი
„შრომითი რეზერვების" წარმომადგენელია
სპორტის ოსტატი
სსრ კავშირის ჭაბუკთა პირველობის გამარჯვებული (1982 წ.)
ევროპის ჭაბუკთა პირველობის ფინალისტი (1982 წ.)
სსრ კავშირის თასის მფლობელი (1985 წ.)
სსრ კავშირის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი (1986 წ.)
კეთილი ნების თამაშების III პრიზიორი (1986 წ.)

### კვარცხლბეკი

**ძალოსნობა. სუპერმძიმე წონა.** 1. ლეონიდ ტარანენკო — 447,5 კგ, 2. ალექსანდრე გუნიაშევი (ორივე — სსრ კავშირი) — 435 კგ, 3. რობერტ სკოლიმოვსკი (პოლონეთი) — 397,5 კგ.

**ძიუდო. 60 კგ.** 1. მიკიხირო მუკაი (იაპონია), 2. იგორ ჟუჩკოვი (სსრ კავშირი), 3. პაკ ხაკ ენი (კსდრ) და რაფაელე რენელა (იტალია).

აბსოლუტური კატეგორია. 1. ჰაბილ ბიკტაშევი (სსრ კავშირი), 2. ანჯეი ბასიკი (პოლონეთი), 3. დიმიტრ ზაპრიანოვი (ბულგარეთი) და რიუდზი ოკადა (იაპონია).

**ტანვარჯიში. ქალები.** ცალკეული იარაღები. თავისუფალი ვარჯიში. ელენე შუშუნოვა (სსრ კავშირი) — 19,87 ქულა, ხტომები. ელენე შუშუნოვა—19,863, ორძელი. ელენე შუშუნოვა — 19,950, ძელი. ვერა კოლესნიკოვა (სსრ კავშირი) — 19,800.

## საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

### უმაღლესი ლიგა

**თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი. 20 ივლისი.**

**„დინამო" (თბილისი) — „ჟალგირისი" (ვილნიუსი) 2:1 (1:0)**

**„დინამო":** გაბელია, კეტაშვილი (მიქაბერიძე, 79), ჩივაძე, ჰედია, გურული, კაკილაშვილი, სვანაძე, სულაქველიძე, ჩელებაძე, ცაავა, მესხი.

**„ჟალგირისი":** იურკუსი, ტამულიავიჩუსი, სუკრისტოვი, მაუეიკისი, იანონისი, ტაუტკუსი, ბარანაუსკასი, მაცკიავიჩუსი, იაკუბაუსკასი, რახიუკასი, ნარბეკოვასი (ბუზმაკოვი, 40).

**მსაჯი:** ო. ჩინიონოვი (მოსკოვი).

**გოლები:** სულაქველიძე (45), ჩელებაძე (58, პენალტი), ბარანაუსკასი (69).

**დუბლიორები — 1:2.**

ნათქვამია, გამარჯვებულებს არ ასამართლებენო. ჩვენ არც ვაპირებთ ამას, მით უმეტეს, რომ თბილისის „დინამომ" კარგა ხნის „შესვენების" შემდეგ, როგორც იქნა, შეძლო საკავშირო ჩემპიონატის კალენდარული მატჩის მოგება. მაგრამ ის კმაყოფილება, რასაც, ჩვეულებრივ, ჩვენი გუნდის გამარჯვებისას განვიცდით ხოლმე, ამჯერად არ გვიგრძნია. შესაძლოა ვინმემ მეტისმეტი პრეტენზიულობა დაგვწამოს, მაგრამ სათქმელი მაინც უნდა ითქვას: თუ მოგებამ თავისთავად ყველა გაგვახარა, დინამოელთა თამაშის ხარისხი ჯერჯერობით მაინც ვერ არის ისეთი, როგორსაც მათგან მოითხოვენ სპეციალისტები, გულშემატკივრები, უპირველეს ყოვლისა კი — მწვრთნელები.

„ჟალგირისი" აშკარად არ იყო „განწყობილი" ორი ქულის ასაღებად. იგრძნობოდა, რომ სტუმართა გუნდს ფრეც სავსებით დააკმაყოფილებდა, ყოველ შემთხვევაში, მთელი პირველი ტაიმის მანძილზე ვილნიუსელები ერთხელაც არ დამუქრებიან მეტოქის კარს და გაბელია, შეიძლება ითქვას, უქმად დატოვეს. ცხადია, როცა მიზნად ერთი ქულის მოპოვებას დაისახავ, ყველაზე მეტად საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნავ. ისიც სავსებით გასაგებია, რომ „ჟალგირისი" საშუალო ტემპით, აუჩქარებლად მოქმედებდა და ცდილობდა „დინამოც" ასეთ თამაშზე დაეყოლიებინა. უნდა ითქვას, რომ ვილნიუსელები უმეტეს შემთხვევაში ახერხებდნენ კიდეც ამას — დინამოელები, როგორც წესი, დიდ დროს ანდომებდნენ შუა მინდვრის გადალახვას, იშვიათად მიმართავდნენ საშუალო და გრძელ გადაცემებს, რაც „ჟალგირისის" წისქვილზე ასხამდა წყალს.

საკმარისი იყო თბილისელ ფეხბურთელებს ოდნავ მეტი სიჩქარით დაეწყოთ თამაში, რომ იურკუსის კართან მაშინვე იქმნებოდა სახიფათო სიტუაციები. გავიხსენოთ, თუნდაც, კაკილაშვილის სწრაფი გარღვევა, რომელიც მეკარის პირისპირ გასულმა ჩვენმა ნახევარმცველმა უხეირო დარტყმით დაასრულა (მე-13 წუთი), ან ჩივაძე-ცაავა-ჩელებაძე-მესხის ლამაზი კომბინაცია, რომელიც სტუმართა საჯარიმოს მისადგომებთან ჩაიშალა (32-ე წუთი).

35-ე წუთზე კაკილაშვილმა კარგ პოზიციაში გაიყვანა მესხი, მან ჯერ დაკარგა ბურთი, მერე ისევ დაიბრუნა და დაარტყა კიდეც, მაგრამ ამ დარტყმას გოლი არ მოჰყოლია, ვილნიუსელთა ერთ-ერთმა მცველმა ცარიელი კარიდან თავით გამოიტანა ბურთი. პირველი ტაიმის ბოლო წუთზე მასპინძლებმა კუთხურის მიწოდების უფლება მოიპოვეს, ცაავასაგან ბურთი ჩელებაძემ მიიღო და მცველთან ბრძოლაში შეძლო კარის მიმართულებით დარტყმა. იქ კარგად ითამაშა სულაქველიძემ და ანგარიშიც გახსნა.

შესვენების შემდეგ „ჟალგირისი" შედარებით გააქტიურდა და 53-ე წუთზე კინაღამ გოლიც გაიტანა: მასპინძელთა მცველებმა შეუფერხებლად დარტყმის საშუალება მისცეს ბუზმაკოვს და ბურთი სულ მცირე მანძილით ასცდა გაბელიას კარს. სამი წუთის შემდეგ უკვე დინამოელებს მიეცათ ანგარიშის გაზრდის შესაძლებლობა, მაგრამ მესხმა კარში დარტყმის მაგივრად ცაავას მიაწოდა ბურთი და ეს შანსიც დაიკარგა.

გავიდა კიდევ ორი წუთი და ანგარიში გაიზარდა: ვილნიუსელთა ერთ-ერთმა მცველმა საკუთარი კარის სიახლოვეს წააქცია გურული, ჩელებაძემ ზუსტად დაარტყა 11-მეტრიანი.

დარჩენილ 20 წუთში „ჟალგირისის" უპირატესობა აშკარა იყო. გარდა იმისა, რომ ერთი ბურთი გაქვითეს (ბარანაუსკასი, 69-ე წუთი), სტუმრებს კიდევ რამდენიმეჯერ შეეძლოთ გოლის გატანა (ორჯერ მეტად სახიფათოდ დაარტყა იაკუბაუსკასმა), მაგრამ ანგარიში უცვლელი დარჩა. დინამოელები ნაადრევად დამშვიდდნენ და, თუ მათ ამჯერად მაინც შეძლეს გამარჯვების მოპოვება, სხვა დროს ყურადღების ასეთ მოდუნებას შეიძლება სხვა შედეგიც მოჰყვეს.

**დავით კაკაბაძე.**

**ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 20 ივლისი.**

**„ტორპედო" (ქუთაისი) — „ზენიტი" (ლენინგრადი) 1:4 (1:2).**

**„ტორპედო":** ქანთარია, ჰელიძე, პაიკიძე, მალანია, ვახაძე, ბარათაშვილი, კორღალიძე, დოჩია (ხუნდაძე, 34), მეგრელაძე, ხაგბა (წიკლაური, 70), შენგელია.

**„ზენიტი":** პრიხოდკო, დავიდოვი, კუზნეცოვი, ტიმოფეევი, ბარანიაკი, ლარიონოვი (სალენკო, 84), აფანასიევი, ჟელუდკოვი, ჩუხლოვი, კანიშჩევი (ვედენეევი, 70), კლემენტიევი.

**მსაჯი** ვ. ბუტენკო (მოსკოვი).

**გოლები გაიტანეს:** კლემენტიევმა (8, 71), ჟელუდკოვმა (25, 89); ბარათაშვილმა (32).

**გააფრთხილეს** პაიკიძე.

**დუბლიორები — 2:1.** ქუთაისელთაგან გოლები გაიტანეს თევზაძემ და ნოზაძემ.

**საგანგაშო** მდგომარეობა ჯერ კიდევ პირველი წრის ფინიშზე შეიქმნა, როცა ქუთაისის „ტორპედომ" 12 შესაძლებლიდან მხოლოდ ერთი ქულა აიღო და მე-16 ადგილზე აღმოჩნდა. შემდეგ, პირველი წრის ბოლო ორ მატჩში, გუნდმა შეძლო მობილიზება და საკუთარ მოედანზე ორი ძლიერი მეტოქე დაამარცხა, ამ ოთხმა ქულამ, მონდომებულმა თამაშმა, ასე თუ ისე, კვლავ დაუბრუნა გულშემატკივრებს იმედის ნაპერწკალი, რომ მეორე წრეში მდგომარეობა მკვეთრად გამოსწორდებოდა. ყოველ შემთხვევაში, ყველას სურვილი ასეთი იყო, ვფიქრობდით, გუნდმა იპოვნა თავისი თამაში, მაგრამ სამწუხაროდ მოვლენები სულ სხვაგვარად წარიმართა: მეორე წრის სტარტზე დიდი ანგარიშით წაგება დონეცკში, შემდეგ კი წარუმატებლობა ძირითად კონკურენტთან ხარკოვში. ასეთ პირობებში უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის ბრძოლაში ერთი შანსი რჩებოდა — გუნდს საკუთარ მინდორზე ქულათა მაქსიმუმი უნდა აეღო, ტორპედოელებმა კი შინ დიდი ანგარიშით წააგეს ლენინგრადის „ზენიტთან", რის შედეგად მკვიდრად დაფუძნენ გათამაშების ცხრილის ბოლო საფეხურზე, საიდანაც თავის დაღწევა, ვფიქრობთ, უაღრესად ძნელი იქნება...

რაც შეეხება ამ მატჩს, იგი დაბალ ტემპში, დუნედ დაიწყო. ბურთი ერთთავად მოედნის ცენტრში ტრიალებდა, მეტოქეებს ერთი ხეირიანი შეტევაც არ ჰქონდათ განხორციელებული, რომ... ანგარიში გაიხსნა: მე-8 წუთზე მასპინძელთა დაცვის უხეში შეცდომით კარგად ისარგებლა კლემენტიევმა და ახლო მანძილიდან გახსნა ანგარიში. მას ასე იოლად ალბათ ვარჯიშზეც კი ვერ გააქვს გოლები...

მართალია, სამიოდე წუთის შემდეგ კორღალიძეს ანგარიშის გათანაბრების კარგი შესაძლებლობა მიეცა, მაგრამ მისი თავური დარტყმის შემდეგ ზენიტელებმა ბურთი კუთხურზე მოიგერიეს. 25-ე წუთზე ჟელუდკოვმა კიდევ ერთხელ ისარგებლა ქუთაისელ მცველთა შეუთანხმებელი თამაშით და უყურადღებოდ მიტოვებულმა თავისი შანსი ხელიდან არ გაუშვა. დიახ, ასეთი „მომენტებით" აღსავსე იყო ეს მატჩი, 90 წუთში ამდენი უხეში შეცდომის დაშვება ყველა რგოლში წარმოუდგენელია და თუ ლენინგრადელებმა მეტი გოლის გატანა ვერ მოახერხეს, ეს უკვე მათი საქმეა. ერთს კი ვიტყოდით, არც სტუმრებს გამოუჩენიათ რაიმეთი თავი და თუ დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს, ეს მასპინძელთა უსუსური, ქაოსური, უპასუხისმგებლო თამაშის შედეგია.

ერთხელ კი გაიელვა მატჩის გადარჩენის მცირე იმედმა, როცა 32-ე წუთზე საჯარიმო დარტყმის გათამაშების შემდეგ ბარათაშვილმა ერთი საპასუხო ბურთი გაიტანა. მაგრამ ეს იყო და ეს.. ამდენი შეცდომების შემდეგ მობილიზება, თამაშის მსვლელობაში გარდატეხის შეტანა წარმოუდგენელი იყო, მით უმეტეს თუ მონდომებაც არ იგრძნობოდა. და ეს როდის? — ასეთ გადამწყვეტ ეტაპზე, ასეთ საპასუხისმგებლო მატჩში. მეორე ტაიმში კლემენტიევმა და ჟელუდკოვმა კიდევ თითო ბურთი გაიტანეს და ლენინგრადელებმა გაიმარჯვეს. „ტორპედოს" დღევანდელი სატურნირო მდგომარეობა უკიდურესად საგანგაშოა.

**თამაზ ხარაბაძე.**
**(ტელეფონით, „ლელოს" კორ.).**

* * *

**XIX ტურში თბილისის დინამოელები მიიღებენ ლენინგრადის „ზენიტს", ხოლო ქუთაისის ტორპედოელები — ვილნიუსის „ჟალგირისს".**

* * *

**გუშინ** მოსკოვში დედაქალაქის ორი გუნდი შეხვდა ერთმანეთს. „სპარტაკმა" ანგარიშით 2:0 დაამარცხა „ტორპედო".

**სხვა მატჩები:**

გასულ კვირას შედგა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის XVIII ტურის მატჩები უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის:

„ნეფთჩი" — „შახტიორი" 3:3
„არარატი" — „მეტალისტი" 1:0
„ქაირათი" — „დინამო" მ. 1:1
„დინამო" მნ. — „დნეპრი" 1:1
„დინამო" კ. — „ჩერნომორეცი" 2:1

### გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 22 ივლისისთვის ⊙ ძირითადი შემადგენლობანი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 17 | 7 | 7 | 3 | 21-14 | 21 | (—13) |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 17 | 7 | 6 | 4 | 30-19 | 20 | (—14) |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 17 | 7 | 6 | 4 | 25-17 | 20 | (—14) |
| „დინამო" (მოსკოვი) | 16 | 7 | 5 | 4 | 19-16 | 19 | (—13) |
| „ნეფთჩი" (ბაქო) | 18 | 6 | 7 | 5 | 23-20 | 19 | (—17) |
| „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) | 18 | 6 | 7 | 5 | 26-24 | 19 | (—17) |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 17 | 7 | 4 | 6 | 29-14 | 18 | (—16) |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 18 | 7 | 4 | 7 | 20-19 | 18 | (—18) |
| „ჟალგირისი" (ვილნიუსი) | 18 | 7 | 4 | 7 | 16-19 | 18 | (—18) |
| „დინამო" (თბილისი) | 18 | 5 | 8 | 5 | 16-19 | 18 | (—18) |
| „დინამო" (მინსკი) | 17 | 6 | 3 | 8 | 16-26 | 15 | (—19) |
| „დინამო" (კიევი) | 11 | 5 | 5 | 1 | 17-9 | 15 | (—7) |
| „მეტალისტი" (ხარკოვი) | 17 | 4 | 6 | 7 | 14-16 | 14 | (—20) |
| „ქაირათი" (ალმა-ათა) | 17 | 4 | 6 | 7 | 13-24 | 14 | (—20) |
| „არარატი" (ერევანი) | 18 | 4 | 5 | 9 | 11-20 | 13 | (—23) |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 18 | 3 | 5 | 10 | 15-35 | 11 | (—25) |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამი „ოქრო“ და ერთი „ვერცხლი“

(დასასრული)

შუტიანი (სომხეთი), 57 კგ. ოსმან ეფენდიევი (რსფსრ), 62 კგ. ბორის სავე (მოლდავეთი), 68 კგ. იგორ შჩერბა (ბელორუსია), 74 კგ. საიდ მურთაზალიევი (რსფსრ), **82 კგ. ავთანდილ გოგოლიშვილი (საქართველო)**, 90 კგ. აბექ ბისულთანოვი (რსფსრ), **100 კგ. ლერი ხაბელოვი, 130 კგ. დავით გობეჯიშვილი (ორივე — საქართველო).**

როგორც ხედავთ, გამარჯვებულთა შორის ბევრი ახალი გვარია, რაც იმას ნიშნავს, რომ ახალგაზრდები ნელ-ნელა მოწინავე პოზიციებზე გადიან. სასიამოვნო სიურპრიზი შემოგვთავაზა 22 წლის არმიელმა ავთანდილ გოგოლიშვილმა, რომელსაც ადრე საკავშირო ჩემპიონატებში თავი არ გამოუჩენია (იყო საკავშირო ახალგაზრდული პირველობის ჩემპიონი და „მეგობრობის“ საერთაშორისო შეჯიბრებაში გამარჯვებული). ასევე შესამჩნევი ნაბიჯი გადადგა წინ კიშინიოველმა ბორის სავემ, რომელმაც საბჭოთა კავშირის წინა სპარტაკიადაზე ვერცხლის მედალი მოიპოვა.

სამი ოქროს (გოგოლიშვილი, ხაბელოვი, გობეჯიშვილი) და ერთი ვერცხლის მედალი (ზაზა თურმანიძისა მძიმე წონაში) თავისთავად ურიგო შედეგი არ არის. მით უფრო, რომ ასეთი მაჩვენებლისთვის ჩვენს მოჭიდავეებს წინა სპარტაკიადებში არ მიუღწევიათ. მაგრამ ეს გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილზე გასასვლელად საკმარისი არ აღმოჩნდა. არადა სპარტაკიადის წინ ჩვენს მწვრთნელებსა და სპეციალისტებს გუნდურ ჩათვლაში პირველი-მეორე ადგილი ჰქონდათ დაგეგმილი.

მინსკის ჩემპიონატის შედეგები საგულდაგულოდ მსჯელობისა და ანალიზის საგანი უნდა გახდეს. ჩვენი გაზეთი მოკლე დროში დაუბრუნდება ამ თემას და მკითხველებს მინსკის ბატალიებზე დაწვრილებით ინფორმაციას მიაწვდის.

# კეთილი ნების თამაშების საზეიმო დახურვა

**გასულ** კვირას მოსკოვის ცენტრალურ საკონცერტო დარბაზში კეთილი ნების თამაშების საზეიმო დახურვა მოეწყო. შეკრებილთ სიტყვით მიმართა თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის სახელმწიფო სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ მ. გრამოვმა. მან აღნიშნა, რომ კეთილი ნების თამაშები, რომელიც მშვიდობის საერთაშორისო წელს ჩატარდა, მის სპორტულ სიმბოლოს წარმოადგენდა და ამდენად მსოფლიოს ხალხებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

მაღალი შეფასება მისცა თამაშებს ამ შეჯიბრების ერთ-ერთმა ინიციატორმა, ამერიკული ტელეკომპანიის „ტი-ბი-ეს“-ის ხელმძღვანელმა და მფლობელმა ტ. ტერნერმაც. მან გულითადი მადლობა გადაუხადა საბჭოთა ხალხს მხარდაჭერისა და ყურადღებისთვის, კეთილი მასპინძლობისათვის.

მაყურებელთა ტაშის ქვეშ თამაშებში გამარჯვებულ სპორტსმენებსა და პრიზიორებს შესაბამისი ჯილდოები გადაეცათ. დაჯილდოებულთა შორის იყნენ სერგეი ბუბკა (სსრ კავშირი), ჯეკი ჯოინერი (აშშ) და სხვა სახელოვანი სპორტსმენები. ყველაზე ნორჩი გულშემატკივრისთვის დაწესებული პრიზი ოლიმპიური ჩემპიონის, ამერიკელი მოჭიდავის დევიდ შულცის სამთვიან ვაჟიშვილს ალექსანდრეს გადაეცა, რომელიც მშობლებს ჩამოყვა მოსკოვში.

დარბაზი ფეხზეამდგარი შეხვდა ამერიკის ქალაქის სიეტლის დელეგაციას, რომელმაც ესტაფეტა ჩაიბარა მოსკოვისგან. ოთხი წლის შემდეგ კეთილი ნების თამაშები სწორედ ამერიკის ამ ქალაქში ჩატარდება.

მოსკოვის თამაშები დახურულად ცხადდება. საზეიმოდ ჟღერს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნის მელოდია.

საღამო დიდი კონცერტით დასრულდა. ეს იყო საბჭოთა ხელოვნების ოსტატთა კიდევ ერთი, ამჯერად ბოლო საჩუქარი კეთილი ნების თამაშების მონაწილეთათვის.

## მოსკოვის თამაშები ეკრანზე

**„კეთილი ნება“** — ასეთი სახელწოდებით გამოვა სრულმეტრაჟიანი ფერადი ფილმი, რომელსაც სსრ კავშირის სახკინოს დავალებით დოკუმენტური ფილმების ცენტრალური სტუდიის კოლექტივი ქმნის. ფილმის მთავარი რეჟისორია რუსეთის ფედერაციის სახალხო არტისტი ბ. რიჩკოვი, სცენარის ავტორი — სპორტის ოსტატი გ. კლიმოვი, მთავარი ოპერატორები — ვ. იზვეკოვი და რ. პეტროსოვი.

— ჩვენ ვცდილობთ მაყურებელს ვაჩვენოთ ამ შეჯიბრების არა მარტო სპორტული მხარე. სპორტს დიდი სამშვიდობო მისია აკისრია და სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები ამას კარგად გრძნობენ. ფილმში ნაჩვენები იქნება მსოფლიოს ახალგაზრდობის ერთსულოვნება, მოსკოველთა სტუმართმოყვარეობა და ის მეგობრული სული, რომლითაც იყო გამსჭვალული თამაშები 17 დღის მანძილზე.

აგვისტოში ამ ფილმს მაყურებელი ფართო ეკრანზე იხილავს.

# დავა ხვალ დამთავრდება

**მინსკი,** 21 ივლისი (ტელეფონით). ჭადრაკის სასახლეში გრძელდება მოჭადრაკეთა სასპარტაკიადო ტურნირის ფინალური შეხვედრები.

ვაჟთა ტურნირის III ტურში საქართველოსა და ლენინგრადის გუნდების მატჩი ანგარიშით 2,5:2,5 დამთავრდა (მოიგო მ. კრასენკოვმა, ყაიმით დაამთავრეს შეხვედრები მ. იაელიანმა, გ. ბაღათუროვმა, ლ. ჯანჯღავამ, წააგო გ. გიორგაძემ). ამ დღეს კიდევ ორი შეხვედრა ასე დასრულდა: რსფსრ — მოსკოვი 3,5:1,5 ლიტვა — უკრაინა 1,5:2,5 (1.)

IV ტურში საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის გუნდების მატჩის ანგარიშია 1,5:2,5 (1). ეს ერთი პარტია გიორგაძემ გადადო. ყაიმით დაამთავრეს შეხვედრები კრასენკოვმა, ბაღათუროვმა და ჯანჯღავამ. იაელიანი დამარცხდა.

მოსკოვის გუნდმა მოუგო (3,5:1,5) ლიტვის წარმომადგენლებს, უკრაინის ნაკრები დაწინაურდა ლენინგრადის გუნდთან შეხვედრაში — 2:1 (2).

მოჭადრაკე ქალთა მეორე ფინალური ტურნირის (VII-XII ადგილებისთვის) III ტურში საქართველოს გუნდმა ყაიმით (1,5:1,5) დაამთავრა მატჩი ლენინგრადის ნაკრებთან (მოიგო ნ. იოსელიანმა, წააგო ნ. გურიელმა, პარტია ყაიმით დაამთავრა ქ. არახამიამ). III ტურში ჩვენმა მოჭადრაკეებმა სძლიეს რსფსრ-ს გუნდს (მოიგეს იოსელიანმა და გურიელმა, ყაიმით დაამთავრა შეხვედრა არახამიამ).

ფინალურ ტურნირებში მხოლოდ ბოლო ტურის შეხვედრები დარჩა ჩასატარებელი. შეჯიბრება 23 ივლისს დამთავრდება.

## მსოფლიო ჩემპიონატი კალათბურთში

# ამჯერად — „ვერცხლი“

**გუშინწინ,** 20 ივლისს, ესპანეთის დედაქალაქში დამთავრდა კალათბურთელ ვაჟთა X მსოფლიო ჩემპიონატი. ფინალურ მატჩში, რომელიც მადრიდის „სპორტის სასახლეში გაიმართა, ერთმანეთს შეხვდნენ საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების კალათბურთელები. საინტერესოა, რომ მსოფლიოს წინა პირველობის ფინალშიც (1982, კოლუმბია) ეს გუნდები გავიდნენ. მაშინ მინიმალური უპირატესობით, ანგარიშით 96:95, გაიმარჯვეს საბჭოთა კალათბურთელებმა.

ამჯერად ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებმა რევანშის აღება მოახერხა. მისი უპირატესობა მთელი მატჩის მანძილზე საგრძნობი იყო. ერთ ხანს სხვაობამ 18 ქულასაც მიაღწია. შეხვედრის მიწურულს ხომიჩუსის ბრწყინვალე თამაშის წყალობით საბჭოთა სპორტსმენებმა ორ ქულამდე შეამცირეს ეს სხვაობა, მეტი კი ვეღარ შეძლეს. 87:85 (48:38) — გაიმარჯვა ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებმა და მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. საბჭოთა კალათბურთელები ვერცხლის მედლებს დასჯერდნენ. ბრინჯაოს მედლები ხვდა იუგოსლავიის ეროვნულ გუნდს, რომელმაც III ადგილისთვის მატჩში დამაჯერებლად დაამარცხა ბრაზილიელები — 117:91 (59:47).

## კალეიდოსკოპი

### ცაში აჭრილი ბუბკა

როგორც ცნობილია, მსოფლიოს საუკეთესო მძლეოსანმა სერგეი ბუბკამ კეთილი ნების თამაშებში ფანტასტიკური რეკორდი დაამყარა — 6 მეტრი და 1 სანტიმეტრი. ამასთან დაკავშირებით ესპანეთის გაზეთი „პაისი“ წერდა: „ბუბკა ის სპორტსმენია, რომელიც ყველაზე მაღლა აიჭრა ცაში“.

„პაისის“ კორესპონდენტი დარწმუნებულია, რომ მსოფლიოს საუკეთესო ჭოკით მხტომელი სულ მალე თავის რეკორდს 6 მეტრსა და 10 სანტიმეტრამდე გაზრდის. ამაში იგი მოსკოვის სტარტებმა დაარწმუნა. სარეკორდო ნახტომის დროს „ბუბკას სიმაღლის საკმაოდ დიდი მარაგი ჰქონდა“.

### ოპტიმიზმიც ასეთი უნდა

10 წლის წინ, მონრეალში, მან ოლიმპიური ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა. მაგრამ იაცეკ ვშოლა — ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მძლეოსანი პოლონეთში — მაშინ 10 წლით ახალგაზრდა იყო. სიმაღლეზე მხტომელებისათვის კი ასაკს დიდი მნიშვნელობა აქვს.

დღეს ვშოლა 30 წლისაა, მაგრამ თავს მხნედ გრძნობს და თავის მწვრთნელთან ერთად მომავლის გეგმებს აწყობს. ასეა თუ ისე, ვშოლას იმედი აქვს, რომ წლეულს 240 სანტიმეტრს დაძლევს.

### იზრდება „ტურ დე ფრანსის“ საზღვრები

გდრ-ის ველოსპორტის ფედერაციამ სურვილი გამოთქვა „ტურ დე ფრანსის“ ერთი ეტაპი თავის ტერიტორიაზე ჩაატაროს. ამ საკითხს პოპულარული ველორბოლის ორგანიზატორები და ფედერაციის წარმომადგენლები უახლოეს დღეებში განიხილავენ.

# I ლიგა

**19 ივლისს შედგა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების XXIII ტურის მატჩები.**

**„დინამო“ (ბათუმი) — ცსკა 2:0 (1:0)**

**„დინამო“:** კუცია, გოგიტიძე, ანდღულაძე, დურდიაძე, ჩიქოვანი, ზედანია (მაჭუტაძე), კიკლიაშვილი, ათუაშვილი, შელია, გორგილაძე, მაისურაძე.

**ცსკა:** შიშკინი, მალიუკოვი, გალიამინი, ბროშინი (აფანასიევი), ფოკინი, კუზნეცოვი, სავჩენკო, ბატურენკო, მედვიდი (ბერეზინი), ტატარჩუკი, კალესნიკოვი.

მსაჯი ი. დუტკო (ლვოვი).

მატჩი დაზვერვის გარეშე დაიწყო, არმიელთა მეკარე შიშკინს თავიდანვე ძნელი ბურთების აღება მოუხდა შელიასა და კიკლიაშვილისაგან. 21-ე წუთზე სწრაფი კომბინაცია გაითამაშეს ზედანიამ და კიკლიაშვილმა, ბურთი გადააწოდეს ათუაშვილს და ამ უკანასკნელმა, შორი მანძილიდან მარცხენა დაბალ კუთხეში გაგზავნა ბურთი — 1:0.

ინიციატივას მეორე ნახევარშიც მასპინძლები ფლობდნენ, 51-ე წუთზე კიკლიაშვილმა ზედიზედ სამ მცველს აუარა გვერდი და გორგილაძეს გადააწოდა. მან მოუგო ორთაბრძოლა თავის დარაჯს და მეორე გოლი გაიტანა — 2:0.

ბათუმელებს ამის შემდეგაც შეეძლოთ ანგარიშის გაზრდა, მაგრამ ვერ გამოიყენეს რამდენიმე კარგი შესაძლებლობა. აღსანიშნავია, რომ არმიელებს ამ მატჩში ბურთის გატანის თითქმის არც ერთი შესაძლებლობა არა ჰქონიათ.

**ოთარ მურვანიძე,**
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

* * *

**19 ივლისს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების სხვა მატჩებიც:** „კუზბასი“ (კემეროვო) — „კოლოსი“ (ნიკოპოლი) 2:1, ასკ (ხაბაროვსკი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 0:0, „ისკრა“ (სმოლენსკი) — „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) 0:0, „შინიკი“ (იაროსლავლი) — „დინამო“ (სტავროპოლი) 2:0, „კოტაიკი“ (აბოვიანი) — „როტორი“ (ვოლგოგრადი) 1:2, „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 2:3, „ყუბანი“ (კრასნოდარი) — „ნისტრუ“ (კიშინიოვი) 1:0, ასკ (დონის როსტოვი) — ასკ „კარპატი“ (ლვოვი) 1:1, „ატლანტასი“ (კლაიპედა) — „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) 2:0, „დაუგავა“ (რიგა) — „პამირი“ (დუშანბე) 3:0.

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 22 ივლისისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დაუგავა“ | 22 | 15 | 5 | 2 | 48-22 | 35 |
| ცსკა | 23 | 13 | 5 | 5 | 37-20 | 31 |
| „გურია“ | 22 | 13 | 4 | 5 | 33-25 | 30 |
| „როტორი“ | 22 | 13 | 1 | 8 | 33-20 | 27 |
| „პამირი“ | 22 | 9 | 9 | 4 | 30-21 | 27 |
| „როსტსელმ.“ | 22 | 9 | 8 | 5 | 38-29 | 26 |
| „დინამო“ ბ. | 22 | 10 | 5 | 7 | 26-25 | 25 |
| ასკ „კარ.“ | 22 | 9 | 7 | 6 | 37-24 | 25 |
| „შინიკი“ | 22 | 10 | 4 | 8 | 16-14 | 24 |
| „ლოკომ.“ | 22 | 9 | 6 | 7 | 31-24 | 24 |
| „კოლოსი“ | 22 | 9 | 6 | 7 | 21-22 | 24 |
| „ფახთაქ.“ | 22 | 10 | 3 | 9 | 29-31 | 23 |
| „კოტაიკი“ | 22 | 6 | 9 | 7 | 17-17 | 21 |
| ასკ რ. | 22 | 7 | 6 | 9 | 21-23 | 20 |
| „ყუბანი“ | 22 | 5 | 10 | 7 | 17-19 | 20 |
| „მეტალურ.“ | 21 | 7 | 5 | 9 | 24-23 | 19 |
| „სპარტაკი“ | 22 | 6 | 7 | 9 | 30-31 | 19 |
| „ფაკელი“ | 22 | 6 | 6 | 10 | 18-25 | 18 |
| „კუზბასი“ | 22 | 5 | 8 | 9 | 24-34 | 18 |
| „ისკრა“ | 23 | 6 | 5 | 12 | 13-30 | 17 |
| „ატლანტ.“ | 21 | 5 | 6 | 10 | 15-25 | 16 |
| „დინ.“ სტ. | 22 | 3 | 10 | 9 | 21-28 | 16 |
| ასკ ხ. | 22 | 3 | 7 | 12 | 20-36 | 13 |
| „ნისტრუ“ | 22 | 3 | 4 | 15 | 13-44 | 10 |

## საქართველოს პირველობა

**განვლილ შაბათ-კვირას გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის XIX ტურის მატჩები.**

### აღმოსავლეთი ჯგუფი

„სპარტაკი“ (ცხინვალი) — „ქართლი“ (გორის რ-ნი) 1:0, „არმაზი“ (მცხეთა) — ასკ (თბილისი) 3:0, „მადნეული“ (ბოლნისი) — „შევარდენი“-სპი (თბილისი) 2:2, „ივერია“ (ხაშური) — „კახეთი“ (თელავი) 2:0.

### დასავლეთი ჯგუფი

„ბახმარო“ (ჩოხატაური) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 0:1, „დინამო“ (გაგრა) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 1:1, „დინამო“ (ზუგდიდი) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 5:1, „იმერეთი“ (ქუთაისი) — „შადრევანი“ (წყალტუბო) 2:3, „ამირანი“ (ოჩამჩირე) — „სულორი“ (ვანი) 1:2, „ეგრისი“ (ცხაკაია) — „მერცხალი“ (მახარაძე) 4:3.

## მსოფლიო ჩემპიონატის ექო

### ტონი შუმახერი: „...უკეთ შემეძლო მეთამაშა“

**„ჩვენი** გუნდის დამარცხებაში მხოლოდ მე ვარ დამნაშავე“, — განაცხადა ფინალური მატჩის დამთავრების შემდეგ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფეხბურთელთა ნაკრების მეკარემ ტონი შუმახერმა. — ჩემი შეცდომები გუნდს წაგებად დაუჯდა, მე კი შემეძლო ეს შეცდომები არ დამეშვა“.

პირველი გაშვებული გოლის თაობაზე ტ. შუმახერმა თქვა: „არასწორად გავიანგარიშე ბურთის ფრენის სიმაღლე, ვერ მივწვდი მას, შევყოვნდი, რაც კარგად გამოიყენა ბრაუნმა. უკეთ შემეძლო მეთამაშა მაშინაც, როცა მესამე ბურთი გავუშვი“.

## „სპორტლოტო“

**გუშინწინ** მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს“ მორიგი, 29-ე ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45“-დან:** 3 (ბობსლეი), 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 10 (წყალბურთი), 27 (მშვილდოსნობა), 41 (მაგიდის ჩოგბურთი), 44 (ჭადრაკი).

**„სპორტლოტო 5 36“-დან:** 15 (ბაიდარებითა და კანოეთი ნიჩბოსნობა), 17 (ციგურაობა), 19 (სათხილამურო რბოლები), 22 (წყალში ხტომა), 33 (ფეხბურთი).

**რედაქტორის მოადგილე**
**თ. ბაჩეჩილაძე.**

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096
[illegible]

**რედაქციის ტელეფონები:**
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53

**ჩვენი ინდექსი:**

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ., 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.